

შპს „ახალი ბათუმის“-ის ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შპს ახალი ბათუმი
ს/კ 445 517 744
ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ბათუმი
2022 წელი

შპს „ახალი ბათუმის“-ის ფინანსური ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება			
პერიოდი	31/12/2021	12/31/2020	31/12/2019
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	113,356.97	40,223.11	44,543.00
სავაჭრო მოთხოვნები	498,351.35	209,417.36	30,914.00
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	6,423.50	9,662.50	
გადახდილი ავანსები	611,768.30	962,279.76	242,204.00
დაუმთავრებელი წარმოება	2,947,617.00	3,343,143.78	4,719,530.00
სხვა მიმდინარე აქტივები			4,220.00
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	387,504.00	387,504.00	387,504.00
სულ აქტივები	4,565,021.12	4,952,230.51	5,428,915.00
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	131,250.35	152,669.83	798,057.00
გადასახდელი პროცენტები		217,219.58	44,867.00
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	(8,490.00)		-
საგადასახადო ვალდებულებები	68,039.95		26,952.00
მიღებული ავანსები	1,337,679.55	2,062,269.54	3,399,929.00
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	-	310,850.00	900,850.00
სულ ვალდებულებები	1,528,479.85	2,743,008.95	5,170,655.00
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	210,445.61	681,943.01	277,220.00
დაგროვილი მოგება / ზარალი	2,826,095.66	1,527,278.55	(18,960.00)
სულ საკუთარი კაპიტალი	3,036,541.27	2,209,221.56	258,260.00
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4,565,021.12	4,952,230.51	5,428,915.00

დირექტორი: კახა დევაძე



შპს „ახალი ბათუმის“-ის ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

საქმიანობის შედეგები			
შემოსავალი	2021	2020	2019
შემოსავალი (ამონაგები) გაყიდვიდან	2,591,334.50	4,139,163.48	350,745.00
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(1,012,071.53)	(2,177,168.63)	-
საერთო ხარჯები			
შრომის ანაზღაურება	(156,013.80)	(129,438.76)	(156,317.79)
საშუამავლო მომსახურება		(30,623.17)	(7,196.26)
კომუნალურები	(14,384.42)		(3,890.76)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაცი	(87,770.07)	(2,649.35)	1,555.02
საბანკო მომსახურების ხარჯები		(3,780.62)	(3,566.27)
სხვა ხარჯები	(22,277.58)	(51,458.80)	(3,028.16)
სულ ხარჯები	(1,292,517.40)	(2,395,119.33)	(172,444.22)
საოპერაციო მოგება/ზარალი	1,298,817.10	1,744,044.15	178,300.78
ცვეთა/ამორტიზაცია	-	-	-
საპროცენტო ხარჯები	-	(197,805.79)	(44,867.23)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე	1,298,817.10	1,546,238.36	133,433.55
მოგების გადასახადი	-		-
მოგება/(ზარალი)	1,298,817.10	1,546,238.36	133,433.55
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
	2021	2020	2019
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	2,209,221.36	258,260.00	(152,074.00)
საკუთარი კაპიტალის ზრდა/შემცირება	(471,497.40)	404,723.00	276,900.00
პერიოდის მოგება/(ზარალი)	1,298,817.10	1,546,238	133,434.00
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3,036,541.07	2,209,221.36	258,260.00



დირექტორი: კახა დევაძე

შპს „ახალი ბათუმის“-ის ფინანსური ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფულადი სახსრების მოძრაობა			
ფულადი სახსრების მოძრაობა	2021	2020	2019
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი)	1,002,881.18	190,791.85	(1,203,755.00)
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი)	0	0	0.00
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი)	(931,040.60)	(185,277.00)	1,177,750.01
სესხის გადახდა	-	(590,000.00)	900,850.01
საკუთარი კაპიტალის ზრდა	-	404,723.00	276,900.00
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	0	5,514.85	(28,005.00)
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათზე	438.11	(9,834.85)	3,555.00
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	41,078.28	44,543.00	68,993.00
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	113,356.97	40,223.00	44,543.00



დირექტორი: კახა დევაძე

საწარმოს საქმიანობა

შპს ახალი ბათუმი (შემდგომში „საწარმო“) დაფუძნდა 2017 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 445 517 744. კომპანია არის დღგ-ს გადამხდელი 2017 წლიდან.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების მშენებლობა;

საწარმოს შემოსავალს წარმოადგენს აშენებული და მშენებარე ნაგებობების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები.

საწარმოს დირექტორი - კახა დევაძე პ/ნ 61001066994

კომპანიის დამფუძნებელია - კახა დევაძე პ/ნ 61001066994 (100%-იანი მეწილე).

კომპანიას არ გააჩნია შვილობილი საწარმოები და კომპანია თავის ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს დამოუკიდებლად. მას არ გააჩნია კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადების და წარდგენის ვალდებულება.

მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (მსს ფასს). მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეულ კრიტიკულ საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული მსჯელობების წარმართვას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში გამოყენებული ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში (ლარი), თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მომავალში მისი ფუნქციონირების ასპექტიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს მომსახურებიდან მისაღები შემოსულობების და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. ამდენად ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს ასახული აქტივების რაიმე კორექტირებას, რომელიც აუცილებელი იქნებოდა, თუ შპს ახალი ბათუმი ვერ შეძლებდა გაეგრძელებინა თავის ჩვეულებრივი საქმიანობა მომავალში.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ზემოთ აღწერილ ფაქტებს უწყვეტობის შესახებ დაშვებების აღკვეთის შესახებ შეფასებისას.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხები

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გატარებები და ნაშთები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად, წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის კურსები	დოლარი	ევრო
2018	2.6766	3.0701
2019	2.8677	3.2095
2020	3.2766	4.0233
2021	3.0976	3.5040

სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ასპექტები

შპს ახალი ბათუმის მიერ წარმოდგენილი 2021 წლის ანგარიშგება ყველა არსებით საკითხში შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს.

ანგარიშგებაში აღწერილია საანგარიშგებო პერიოდში 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე მომხდარი ყველა სამეურნეო ოპერაციისა და მოვლენის ფინანსური შედეგები, რომლებიც დაჯგუფებულია მათი ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით.

შენიშვნებში მოცემულია განმარტებები ბალანსში, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებასა და საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებაში ასახულ თანხებთან დაკავშირებით, აგრეთვე სხვა დამატებითი ინფორმაცია. აქ თავმოყრილია ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საწარმოს შესახებ ინფორმაციის სამართლიანი წარდგენისთვის.

შეფასების მეთოდები და საადრიცხვო პოლიტიკა

შემოსავლის (ამონაგების) აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს: ნაღდ ეროვნულ და უცხოურ ვალუტას საღაროში და ფულად საშუალებებს საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორული დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებები

აღნიშნული პერიოდებში საწარმოს არ გააჩნია ძირითადი საშუალებები და სხვა გრძელვადიანი აქტივები, შესაბამისად ამავე პერიოდებში საწარმოს არ გააჩნია ცვეთის ხარჯი.

მარაგები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით. რაც შეეხება მუხლს „დაუმთავრებელი წარმოება“, ვინაიდან ფასს მიხედვით, სამშენებლო ხელშეკრულება არის ხელშეკრულება, რომელიც სპეციალურად ითვალისწინებს აქტივის ან აქტივთა ისეთი ერთობლიობის შექმნას, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ან ურთიერთდამოკიდებულია კონსტრუქციულად, ტექნოლოგიურად და ფუნქციურად, ან მათი საბოლოო გამოყენების მიზნის ან დანიშნულების მიხედვით“, ხოლო საწარმოს კონტრაქტები დადებული აქვს მხოლოდ უძრავი ქონების მიწოდებაზე, დანახარჯები, რომლებიც გაწეულია შემდგომში სარეალიზაციო უძრავი ქონების

შესაქმნელად, აღიარებულია დაუმთავრებელ წარმოებად (და არა დაუმთავრებელ მშენებლობად ან ძირითად საშალებად).

აქტივის ღირებულებაში მოხვედრილია იმ მიწის ნაკვეთის ღირებულებაც, რომელზედაც მიმდინარეობს მშენებლობა, ვინაიდან უძრავი ქონება, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, არის მიწის ნაკვეთი ფუნქციურად მასზე მიმაგრებული შენობა-ნაგებობებით. დაუმთავრებელი წარმოების ღირებულებაში აგრეგირებულია ყველა დანახარჯი (მათ შორის სახელფასი და შესყიდული მომსახურების).

ფული და ფულადი ექვივალენტები

პერიოდი	12/31/2021	12/31/2020	12/31/2019
ფული სალაროში	-	-	34,118.22
ფული საბანკო ანგარიშზე	113,356.97	40,223.11	10,425.00
სულ ჯამი	113,356.97	40,223.11	44,543.22

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები წარმოადგენს გასაყიდად არსებული შენობების სანაცვლოთ მიღებულ თანხებს.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, სარეალიზაციო ფართებისთვის შემსყიდველების მიერ წინასწარ გადახდილი თანხები უნდა დაიბეგრდეს დღგ-ით თანხის გადახდის თვეში. გადახდილი დღგ გამოაკლდება რეალიზაციის (საკუთრებაში გადაცემის) თვის გადასახდელ დღგ-ს.

გაცემული ავანსები

საანგარიშგებო პერიოდში გაცემული ავანსები გამოყურება შემდეგნაირად:

კომპანიის დასახელება	12/31/2021
ბათუმის სიტი XXI	110.00
შპს კონსტრუქტორი	5,000.00
შპს გემა პლიუსი	291,898.90
შპს ლეგი	300.00
პაატა ცანავა	3,119.60
შპს ცირუ	311,339.80
	611,768.30

აღნიშნული ავანსები დაკავშირებულია ობიექტის მშენებლობასთან. კონკრეტული სამუშაოების დასრულების შემდგომ გაფორმდება მიღება-ჩაბარება, გამოიწერება

შპს „ახალი ბათუმის“-ის ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, რომლის საფუძველზეც ავანსები გადავა
დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშში.

